საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საკრებულოს წევრი
GEORGIA
Rustavi Municipality City Assembly
Member of Assembly

N 16155-02
30/10/2019

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ სოფიო კარანაძეს

ქალბატონო სოფიო,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს ორგანული კანონის 88-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

გთხოვთ უზრუნველყოთ ინფორმაციის გამოქვეყნება.

დანართი: 6 ფურცელი

პატივისცემით,

დავით რეხვიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო, რუსთავი, 3700, კოსტავას 20; ელ.ფოსტა: info@rustavi.ge
Georgia, Rustavi, 3700, Kostava ave. 20. email: info@rustavi.ge

საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

GEORGIA

RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	**დავით რეხვიაშვილი**
საანგარიშო პერიოდი:	01.11.2018 – 01.11.2019
თანამდებობა:	1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი 2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე 3. ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს წევრი
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი 2. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი
დროებითი სამუშაო ჯგუფი:	1. ვეტერანების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 26 სხდომა (12 რიგითი, 14 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 23 სხდომა

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების პროცესში ჩატარებული საკრებულოს სხდომა - 1;

ბიუროს სხდომების რაოდენობა: 26 სხდომა

ბიუროს სხდომებზე დასწრება: 16 სხდომა

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების პროცესში ჩატარებული ბიუროს სხდომა - 1;

- **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

  დადგენილება - 74

  განკარგულება - 162

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:**

  ა) კომისიები:

  - **საფინანსო-საბიუჯეტო კომისია:**

    ჩატარდა - 18 სხდომა;

    დასწრება - 11 სხდომა;

  - **სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია:**

    ჩატრადა - 19 სხდომა

    დასწრება - 12 სხდომა

  ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება“

  ჩატარდა - 1 სხდომა

  დასწრება - 1 სხდომა

  გ) ვეტერანების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

  ჩატარდა - 1 სხდომა

- **ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:**

1. მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის (ლეგალიზაცია) წევრი;

2. პირის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ წევრი;

3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში პირუტყვის დაავადებათა კონტროლის, კატასტროფების რისკის შემცირების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიზნობრივად გამოყენების თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი;

4. ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის“ სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი;

5. რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სხამგზავრო გადაყვანებზე კონკურსის პირობების შემუშავების სამუშაო ჯგუფის წევრი;

6. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გასაცემად სამუშაო ჯგუფის წევრი;

7. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში გაფორმებულ ზოგიერთ ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებებისა და დასრულებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიღებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის წევრი

8. ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე დაურეგისტრირებელი ფართების მოქალაქეებისათვის საკუთრებაში გადაცემის ხელშეწყობის მიზნით აღრიცხვის და არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცება;

გ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მიზნით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა;

ე) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2018 – 2019 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები.

- **საკრებულოს წევრის მიერ სააგნარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტით“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

საკრებულოს ხელმძღვანელობა აქტიურად არის ჩართული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში, სადაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ინტერესების წარმოდგენას.

პერიოდულად მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება.

ჩემთვის, როგორც საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატისთვის პრიორიტეტულია როგორც ამომრჩევლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინება, ასევე ადგილობრივი ფინანსური თუ მატერიალური რესურსების ეფექტური მართვა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმატებით თანამშრომლობს ქალაქის მერთან და აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა რგოლთან. საკრებულო აქტიურადაა ჩართული ქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში. ქალაქის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს: გზებისა და ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ტროტუარების მოწესრიგება, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა, ეკოლოგია, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება, სკოლამდელი დაწესებულებების სარემონტო სამუშაოები, სოციალური მომსახურების გაუმჯობესება, კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს მოწესრიგება.

როგორც გიორგი ჭყონდიდელის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი, ვაწყობდი გასვლით შეხვედრებს მოსახლეობასთან ჩემს საარჩევნო უბანში. შეხვედრების შემდეგ ანალიზი უკეთდებოდა მოქალაქეთა მიღების დროს დასმულ საკითხებს, რიგი საკითხები გათვალისწინებული იქნა პრიორიტეტების მიხედვით და გადაწყდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით.

საანგარიშო პერიოდში ქალაქ რუსთავში, ჭყონდიდელის დასახლებაში:

✓ გოგოლისა და რჩეულიშვილის ქუჩებზე მოწესრიგდა სანიაღვრე ქსელი და განხორციელდა ახალი, დამატებითი ქსელის მოწყობის სამუშაოები;

✓ ჭყონდიდელის დასახლებაში, შესასვლელიდან, კერძოდ: გიორგი ჯავახიშვილის ქუჩიდან გოგოლის ქუჩამდე მოხდა გარე განათების რეაბილიტაცია, ასევე გარე განათება მოწესრიგდა გრანელის N22 კორპუსის შესასვლელსა და ეზოში;

✓ მოიხრეშა გრანელის და გიორგაძის ქუჩებს შორის მდებარე ეზოები, შეკეთდა შიდა მიმოსვლის გზა;

✓ რჩეულიშვილის N18-ში მოეწყო საკანალიზაციო მილები და განხორციელდა შიდა ეზოს კაპიტალური რეაბილიტაცია (მოასფალტდა მთლიანად შიდა ეზო);

✓ მთლიანად შერემონტდა და მოპირკეთდა ჩაპაევისა და ნეკრასოვის ქუჩებზე მდებარე შიდა პატარა ზომის ეზოები, ბარნოვის ქუჩაზე კი მოეწყო სპორტული მოედანი;

✓ მყარი ნარჩენებისგან გათავისუფლდა გიორგაძის N22 და N32 კორპუსებს შორის მდებარე თავისუფალი ტერიტორია;

✓ ჯავახიშვილისა და გიორგაძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორია იტბორებოდა, განხორციელდა შეკეთება;

✓ ჩატარდა რჩეულიშვილის N2, N8 და N10 კორპუსის სარდაფების სრულყოფილი კვლევა, განხორციელდა აღნიშნული შენობების საძირკველის გამაგრებითი სამუშაოები და მოეწყო სადრენაჟო სისტემა, ასევე დაგეგმილია N2 კორპუსის კაპიტალური შეკეთება;

✓ ჭყონდიდელის ქვედა დასახლებაში, 12 ე.წ. „ტკეჩის“ ბინიდან მთლიანად, კაპიტალურად შეკეთდა 6 ბინა, 4 დასრულების პროცესშია, ხოლო პროექტის ფარგლებში წლის ბოლომდე, განხორციელდება 2 ბინის კაპიტალური შეკეთება;

✓ განხორციელდა ქვემო ჭყონდიდალიდან - ზემო ჭყონდიდელისაკენ მიმავალი საფეხმავლო კიბის უჯრედების კაპიტალური აღდგენა-შეკეთება;

✓ ჭყონდიდელის დასახლებაში გაიხსნა მუნიციპალიტეტის ახალი შენობა, ამჟამად მიმდინარეობს შენობის გარშემო სკვერის და დასასვენებელი პარკის მოწყობის სამუშაოები;

✓ მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, დიდ ნაწილში, გავიყვანეთ ბუნებრივი აირის მილები და განხორციელდა აბონენტებისთვის გაზის მნიწოდება;

✓ სამეურნეო წლის ბოლომდე დასრულდება მშვიდობის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები;

✓ ტოლსტოის N8-ში ჩატარდა დასუფთავებითი სამუშაოები, მოსახლეობასთან შეთანხმებით მოიშალა უსახური, მიტაცებული ე.წ. „ბაღები“ და მოპირკეთდა შიდა ეზოები.

შეხვედრებში მონაწილეობა და სხვა აქტივობა:

ინვესტიციების მოზიდვისა და არსებული ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, რუსთავის მუნიციპალიტრეტის საკრებულოს წევრებთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად ვუმასპინძლეთ დამეგობრებული ქვეყნების დელეგაციებს პოლონეთიდან, ლიეტუვადან, ბელორუსიიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან და სხვა.

მიმდინარე წელს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან ერთად, სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქებში პუშკოვოსა და ლოძში, სადაც მონაწილეობა მივიღე პარტნიორული თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის გაფორმებაში

ასევე, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, მონაწილეობა მივიღე (1-5 ივლისი 2019) ბელორუსიის რესპუბლიკაში, ქალაქ ჟოდინოში გამართულ ბელორუსიის დამოუკიდებლობის დღესთან და ქალაქ ჟოდინოს იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიებებში. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში გავეცანით ბელორუსიის რესპუბლიკის ეკონომიკურ, საექსპორტო, საინვესტიციო, ტურისტულ და კულტურულ პოტენციალს.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მიმზიდველი გარემოა შექმნილი მეწარმეობის ფართო სპექტრის განვითარებისთვის დასაქმების შესაძლებლობებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო, აქტიურად აწარმოებს საქმიან მოლაპარაკებებს ქალაქ ჟოდინოს, „ბელორუსავტონაწილების“ ხელმძღვანელობასთან, ჭყონდიდელის დასახლებაში, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ახალი შესაძლებლობების შემქმნელი პროექტის - ავტონაწილების მცირე საწარმოს მშენებლობის განსახორციელებლად.

ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ვიდგეთ მოსახლეობის გვერდით და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყოველი მომდევნო წელი გაცილებით უკეთესი იქნება ჩვენი ქალაქისთვის.